წელიწადი I-ლი

პარასკევი 28 იანვარი

ფასი 30 მან.

ბათომის ცხოვრება

გაზეთი ღირს თვიურად . . . . 800 მან.
განცხადების ფასი: 1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 50 მან. 4 „ „ „ . . . 45 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია მარინეს პროსპ. სახლში. შვილის სახლის მეორე სართულში.
რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 10 ს. 12 საათამდე.

№ 20 ქოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 20

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“
ნ. დ. ბროშვალ-სხირტლაძის

სამშაბათიდან 25 იანვრიდან ამერიკული კინო-რომანი
მორის ლებლანისა
ციტელი ბეჭედი.
ექვსზოდი 4 შაკი მანტია, 5 საკვირველი ქურდები.
დასასრულს საშინელი სტენოგრაფისტკა.

ანონსი: შაბათიდან 29 იანვრიდან ახალი პროგრამა წითელი ბეჭედი 6 და 7 ეპიზოდი.

ელექტრო-თეატრი „ტ რ ი უ მ ფ ი“

თეატრი მოწყობილია საზამთროთ
ამერიკული სისტემით, მყუდროთ და თბილათ.

სამშაბათიდან 25 იანვრიდან ახალი სენსაციური გამოცვლა სურათებისა
სახელ განთქმულ მსახიობ მარიამ კარმის მონაწილეობით
ქალი ამოცანა.
დრამა 5 ნაწილით.

ანონსი: შაბათიდან 29 იანვრიდან
მხიარული ფარსი მარტო დიდებისთვის
იური ნაგორნი

ბათომის ფრონტის
დამხმარე მთავარი კომიტეტი
აცხადებს, რომ ყოველ გვარი ფულების თუ ნივთების შეკრება ფრონტის სასარგებლოდ ამიერიდან სწყდება.
კომიტეტი სთხოვს ყველა იმ პირთ, რომლებსაც ხელთ აქვთ სიები თუ წიგნაკები უკანვე დაუბრუნოს ფრონტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარეს, დაწვრილებითი ანგარიშების გამოსაქვეყნებლად.
31 3—3

ელინთა პოლიტიკური კლუბი
გადავიდა
ახალ ბინაზე, სოფოროს ქუჩა № 2, პირველი სართული (ინგლისელთა ყოფილი სასამართლო)
კლიბის თავმჯდომარე კ. პაპაწდოპულო

მე-4 ქეითა ათასეული ნიშნავს იანვარს 1921 წ. დღის 12 საათ.
საჯარო ვაჭრობას
ათასეულისათვის ხორცისა და სხვა სანოვაგის მოსაწოდებლათ
საჯარო ვაჭრობა მოხდება ათასეულის შენობაში; ცნობების მიღება შეიძლება ათასეულის საბინაო ნაწილში, არტაანის ყაზარმებში ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე.
ვაჭრობა მოხდება დახურულ ბარათებით. საჭიროა ერთი მილიონი სანძ 3—3 წინდარი.

ვსთხოვთ პროვინციელ
კორესპონდენტებს
მოგვაწოდონ ცნობები ოლქის
ცხოვრებიდან
საფასურად მიიღებე გაზეთს
უფასოთ.

საავალდებულო დადგენილება

მთავრობის განსაკუთრებულ რწუნებულისა ქალ. ბათომში და მის ოლქში.

ხორცეულობის ხელოვნურად გაძვირების გამო, ვამტკიცებ რა ქალაქის საბჭოს დეკ. 13 ამა იანვრის გამომუშავებულ ნიხრს,

ვაცხადებ ხორცით მოვაჭრეთა საყურადღებოთ, რომ ხორცეულობა უნდა იყიდებოდეს შემდეგ ფასებში:

ძროხის ხორცი გირვანქა	150	მან.
„ „ ფუთი	5000	„
ღორის ხორცი გირვანქა	200	„
„ „ ფუთი	8000	„
ცხვრის ხორცი გირვანქა	200	„
„ „ ფუთი	8000	„
კამეჩის ხორცი გირვანქა	120	„
„ „ ფუთი	4000	„
ძროხის ქონი გირვანქა	400	„
ღორის და ქონი ცხვრის გირვანქა	500	„

ამ საგალდებულო დადგენილების ჯეროვრებაში გასატარებლად საჭიროთ მიმაჩნია მიღებულ იქნეს შემდეგი ზომები:

1) აიკრძალოს ქალაქიდან და ოლქიდან საქონლის გადადენა სხვა რაიონში.

2) ქალაქის საბჭოს მიერ გამოცემულ ნიხრის დამღრვევი მოვაჭრე დასჯილი იქნება ადმინისტრატიულ წესით (დატუსაღებით) ან გადასახლებით.

3) ვაჭარს, რომელიც ნიხრის დაწესების გამო შესწყვეტს ვაჭრობას, ჩამოერთმევა ვაჭრობის უფლება და მისი სავაჭრო სხვას გადაეცემა.

მილიციის უფროსს და მის დაქვემდებარებულ ადმინისტრაციის პირთ ვუბრძანებ სასტიკი თვალ-ყური ადევნონ ამ დადგენილების შესრულებას და დამნაშავეთა შესახებ დასჯას.

ეს საავალდებულო დადგენილება შედის ძალაში დღიდან მისი ქალაქის საბჭოს მიერ მიღებისა.

მთავრობის განსაკუთრებული რწუნებული ვიოლგაძე.

14 3—1

ბათომის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს
რომ მან ეხლად მოაწყო
ვალცის წისქვილი
(вальцовую мельницу).
რომელიც ჯერ ჯეროვნით დღიურათ ფქვავს 1000 ფუთ ძორბალს. მიღებულია ზომები მის გასაფართოებლად და ახლო მომავალში დაფქვას დღიურად 2000 ფუთამდე
დაწესებულებანი რომელიც მოისურვებენ ისარგებლონ აღნიშნული წისქვილი, ყოველივე ცნობისათვის უნდა მიმართონ ბათომის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებას.
ბათომის ქალაქის გამგეობა.

ბათომი, 28 იანვარი.

მას შემდეგ რაც აზერბეიჯანის „გაწითლება“, იქ სოციალისტური სამოთხე დამყარდა და თანახმად „სოციალისტური“ პრინციპისა თავის მოსაზღვრე სახელმწიფოებთან მეზობლური კავშირის დამყარების შეუდგა, აზერბეიჯანი გულწრფელად და ერთგულათ ასრულებს თავისი უფროსი ძმის, „სოციალისტური“ რუსეთის კანონს.

აზერბეიჯანს საკუთარი პოლიტიკა არა აქვს, ის მორჩილია საბჭოთა რუსეთის და რუსეთიც იყენებს მას შესასრულებლათ იმ გეგმის, რომელიც საბჭოთა რუსეთის მესვეურებს აქ დაუსახავს.

აზერბეიჯანი, სომხეთი დაპყრობილია, ამ ქვეყნების სოვეტიზაციაც დასრულდა, მშრომელი ხალხი ეზიარა და იგემა ის სიტკბო, რომელიც თან მოაქვს დაპყრობილ კუთხეებში წითელ არმიელთა ხიშტებს და „ჩრეზვიჩაიკების“ ტერორს. რეკვიზიცია, სურსათ-სანოვაგის გაზიდვა, მრეწველობის მოსპობა, ტრანსპორტის დანგრევა და შავ საზოსელში ქვეყნის გახვევა მიღწეულია.

ერთი ქვეყანა ჯიუტობს, ვერც წითელ არმიელთა ხიშტებმა, ვერც მათ მიერ მოსყიდულ ჯგუფთა აჯანყებამ ამ ქვეყნის სახელმწიფოებრივ საძირკველის ოდნავ შერყევა ვერ მოახერხა. საქართველომ სძლია წითელ არმიელთა შემოტევა, ჩაახშო მოსყიდულ თუშებრიყვებულ ჯგუფის გველური სისინი და ის განაგრძობს შინ და გარეთ თავის ქვეყნის საკეთილდღეოთ მუშაობას.

უნდა დაინგრეს საქართველო, მოისპოს ის ძალა, რომელიც თავისი არსებობით მუდმივ იდეურ და მორალურ მუქარას წარმოადგენს საბჭოთა რუსეთისათვის. და რუსეთი ებრძვის საქართველოს ხიშტით, ფულით, ყალბი და ხოროტი ცნობების გავრცელებით, იშველიებს მეზობლებს და ასე ჩვენც იძულებული ვხდებით მის წინააღმდეგ თავდაცვის მდგომარეობაში.

დღეს ჩვენთვის უკვე ცხადია, რომ რუსეთი უკანასკნელ საშვალებას

იმართავს ჩვენი ქვეყნის წელში გასატეხად, მართლაც, მტკივანი ადგილი მიზანში ამოღებულია, ბრძოლა აქაც გამართულია.

ჩვენ სათბობი მასალა გვაკლია, ნავთი და ნავთის პროდუქტები ჩვენ აზერბეიჯანიდან შემოგვჭონდა. რკინის გზის მოძრაობა და ბევრი ჩვენი სამრეწველო დაწესებულებათა მუშაობა სავსებით დამოკიდებულია აზერბეიჯანიდან სათბობი მასალის მიღებაზე. ეს კარგათ იციან ბოლშევიკებმა და ნავთის მიწოდება შეუჩერეს. შეირყა ჩვენი ტრანსპორტის და წარმოების საქმე, ეკონომიურად ჩვენი მდგომარეობა ძალზე გართულდა.

გამოსავალი აქაც უნდა მოინახოს მირყულ ზომებს უნდა მივმართოთ, რომ ჩვენი სასიცოცხლო ძალები უნდა ამუშავდეს და აქაც სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამართოს, აქაც უნდა დამარცხდეს ბოლშევიკების და აზერბეიჯანის თავხედობა.

ჩვენ ქვეყანაში ზოგ სპეციალისტია გამოკვლევით არის რაიონები, სადაც ნავთის მრეწველობის დაწყება შესაძლებელია. ეხლავე მთელი თავისი ძალა, ფული, მუყაითობა აქეთ უნდა მივმართოთ, ამ რაიონების გამოკვლევა, სახელდახელოთ მათი დამუშავება უნდა დავიწყოთ. ხლაგე უნდა მივიღოთ თადარიგი ყველა საჭირო ინვენტარის და ტექნიკურ საშვალებათა შესაძენათ, სათბობი მასალის კრიზისის განელების გასაშუალებლად უნდა ამუშავდეს ჩვენი ხელმძღვანელების და დემოკრატიის ნიჭი და შრომა.

ამ მხრივ საყურადღებოა ის მოხსენება, რომელიც მთავრობის თავჯდომარეს წარუდგინა სამთო სამრეწველოს გამგემ ყიფშიძემ. ის ამტკიცებს, რომ შესაძლებელია ნავთის ჩვენი ქვეყნის მიწის სიღრმიდან მიღება, მხოლოთ საჭიროა ინიციატივა, შრომა და გარჯილობა. ის ასახელებს ბევრ რაიონებს, სადაც დღესვე შესაძლებელია მათი დამუშავება და საკმაო ნავთის პროდუქტების მიღება.

დროა ეკონომიურ სფეროში მეტი გამბედაობა და ინიციატივა გამოვიჩინოთ, ეკონომიურ კითხვებს მეტი ყურადღება.

მოკლე შენიშვნები.

ქალაქის თვითმართველობა დიდ მნიშვნელოვან საქმეს შეუდგა.

ამ დღეებში მას განზრახული აქვს ბათომის მცხოვრებთა აღწერა.

მოქალაქეებმა უკვე იციან რაშია საქმე, რამ გამოიწვია ეს აღწერა.

დღის წესრიგში ახალი არჩევნებია.

არჩევნები ქალაქის საბჭოს ხმოსნების, არჩევნები მომავალი პარლამენტის დეპუტატების.

ჩვეულებრივ პირობებში მცხოვრებთა აღწერა ნორმალური საქმე იქნებოდა და მას არც ასე დიდი ყურადღება დასჭირდებოდა.

დღეს კი ამ საკითხს გაცილებით მეტი დაკვირვება და შესწავლა ესაჭიროება.

ჩვენი მშვენიერი სამშობლოს საგარეო მდგომარეობასთან ღღეს გაუცნობელია მხოლოთ პოლიტიკური ბეცები.

პოლიტიკური იმპოტენტები!

რომლებსაც, როგორც გურულები იტყვიან.

— ,,ქვეყანა ფეხზე ჰკიდიათ''!

— ,,ცა ქუდათ აქვთ და მიწა ქალაბნად''!

გარდა ამ ცოცხალ ლეშებისა, საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა ყველასათვის ნათელია.

მათ დიდი ახსნა განმარტება არ დასჭირდებათ. მათ იციან, რომ დღეს ჩვენ ვართ მტრებით გარშემორტყმული.

დღეს საქართველოს საზღვრებთან საკუთარ ნაღვერს ჰყლია პაექნ გულზე შხამ გაღარებული მხეცები.

— ,,ჟინის ამოყრა'' სურთ!

ვინ იცის, ხვალ, ზეგ, რა დღეები გელვითენდება..,

შეიძლება ამ დღეებმა ჩვენ ყველანი იარაღში ჩაგვსვას და ჩვენი ტრადიციული ,,დაჰკას'' მახვილით მტერს შეგვახეთქოს, მუხთალ მტერს, რადგან...

— ,,სჯობს სიკოცხლესა ნაძრახსა—

— ,,სიკვდილი სახელოვანი!...

ამ ბრძოლისათვის, ამ თავგანწირულებისათვის და საკუთარი სიცოცხლის სამშობლოს თავისუფლების საკურთხეველზე მიტანისათვის ჩვენ ყველანი, მზათა ვართ

ყველანი!

დიდებიც და პატარებიც!

ოგრამ, ამ გარეშე მტერთა ბრძოლისათვის სამზადისში ჩვენ არ უნდა ვივიწყებდეთ შინაური მდგომარეობასაც.

თვით რესპუბლიკაში ძალთა განწყობილებას, მის საკუთარ პოლიტიკურ მაჯის ცემას.

ჯერ საარჩევნო წერილების დრო არ დამდგარა.

ჩვენ გვექნება მკითხველებთან საუბარი არჩევნების დასაწყისში.

დღეს საჭიროა მხოლოთ ამ კომპანიის საერთო სურათის წარმოდგენა.

ჩვენ მოგვყელის დიდი პოლიტიკური შეტაკება.

სარაკო სიცოცხლე ჭიდილი!

ამ ჭიდილში შინაური მოწინააღმდეგენი ამოსწურავენ დასაშვებ და დაუშვებელ ზომებს და ხრიკებს რევანშისათვის.

შტერი არაფერს არ მოერიდება მხოლოთ კი ერთხელ მაინც იგემოს ჟინის ამოყრის სიტკბო და სიამოვნება.

ქალაქის მცხოვრებთა აღწერას პირდაპირი კავშირი აქვს ასეთ სიპასუხის მგებლო მდგომარეობასთან.

აღწერა სწორეთ იმიტომ ხდება, რომ წინასწარ აღირიცხოს ყველა ის საქართველოს მოქალაქენი, რომლებსაც საარჩევნო უფლება აქვთ და რომლებიც სიებში უნდა მოექცენ.

მაგრამ ჩვენი ქალაქის მცხოვრებთა აღწერის მნიშვნელობა კიდევ უფრო მატულობს აღგილობრივ პირობების გამო.

ჩვენ კარგათ უნდა ჩავიხედოთ ბათომის სულში და გულში.

ვინ არ ეპოტინება დღეს ბათომს, ამ საქართველოს ბუნებრივ კარს!

ბათომის შესახებ იმართება საერთაშორისო საიდუმლო ბოლშევიკებთან!..

აქეთ აფთიურებენ ხელებს შავი და წითელი იმპერიალისტები!

ბათომზე აცხადებენ პრეტენზიებს ისეთი ხალხი, რომლებსაც არც მის წარსულთან და არც ამწუთისთან არა ვითარი დამოკიდებულება არა აქვთ!

მცხოვრებია შემადგენლობის მხრივ ბათომში განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება

ვის არ ნახავთ აქ

— წყალ წაღებული დენიკინელები!

— თურქები!

— შავი და წითელი იმპერიალისტები!

იქვი არ არის, ყველა ესენი ჩვენ ზურგს უკან გაცოფებულ აგიტაციას ეწევიან საქართველოს წინააღმდეგ და მის დასამარებას ოცნებობენ.

ლამაზ თაგულებში გახვეული ბათომი დღეს გამხდარა ისეთი საზოგადოების საცხოვრებელ ქალაქათ, რომლებსაც არც პოლიტიკური სინდისი აქვთ და არც უბრალო მადლობის გრძნობა!

ეს ხალხი შეეცდება აღწერის ჩაშლას, რადგან ჩვეულია ყოველგვარ პოლიტიკურ ავანტიურას, ღალატს!

ჩვენმა მოქალაქებმა ეს კარგათ უნდა იცოდენ,

მათ მართებთ უკიდურესი სიფრთხილე მცხოვრებთა აღწერის დროს.

ჩვენმა თანამოაზრეებმა უნდა იცოდენ, რომ ქალაქის ხმოსნების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოთ ქართველ ქვეშევრდომებს.

აღწერის გარეშე არ უნდა დარჩეს დაჭრილებული არც ერთი ქართველი, არც ერთი ჩვენი მოქალაქე.

ქალაქის გამგეობას ამ საქმეში თვით საზოგადოება უნდა დაეხმაროს და მხოლოთ მაშინ იქნება თავიდან აცდენილი ყოველგვარი შეცდომები.

ვიყოთ ფხიზლათ და ერთიც წუთი თაც ნუ დაგვავიწყდება აღწერის მნიშვნელობა.

საშობლოს ინტერესები გვიკარნახებს უკიდურეს ფიფხიზლეს!

კ. ჭიჭინაძე.

საქართველო და რუსეთი.

საქართველოს და რუსეთის ურთიერთობა ამ ჟამად კრიზისს განიცდის

რუსეთის პოლიტიკა ეროვნულ დემოკრატიულ სახელმწიფოებისადმი ,,კომუნისტურია''.

მოსკოვის სოციალისტ იმპერიალისტები რეალურად იბრძვიან რუსეთის ტერიტორიულ გაფართოების თვის

,,რუსული ბოლშევიზმი'' ომში დამარცხებული რუსეთს ,,მხსნელად'' მოევლინა, თავის წანგარიშში ბოლშევიკებს უნდა შეენარჩუნებიათ რუსეთის მიწა წყალი და ამავე დროს უარი ეთქვათ მეფის ვალებზე გადახდაზე.

ბოლშევიკები ვერ ურიგდებოდენ ბალტიის სახელმწიფოთა არსებობას და გადაწყვეტილი ჰქონდათ მათი გასრესა მაგრამ კომუნიზმა ეს ვერ შესძლო.

რუსეთის ხმალი გადატყდა პოლონელებთან, ფინელებთან ესტონელებთან და ლატვია—ლიტველებთან ბრძოლაში.

,,ძლევა მოსილებით წინ მიგვალმა კომუნისტურმა წითელმა არმიამ თავის უძლურება ვამოამჟღავნა იმ სახელმწიფოს საზღვრებთან, რომელი სახელმწიფონიც ეროვნულ ნების ყოფისდა შემეცნების სინტეზ ანალიზით იყვენ აშენებულნი:

ბოლშევიკებმა წამოიჩოქეს ეროვნულ სახელმწიფოების წინაშე და ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა გაბოლშევიკებულმა რუსეთმა საეჭვოა დაიპყროს ისეთი ქვეყანა რომელსაც საშიალოდ, მაინც აქვს ეროვნული მეობა განვითარებული და დაუფასებია თავისებური თავისუფალი ცხოვრება.

რა უპირატესობა აქვთ ამ ჟამად ვისმეს მიმართ რუსეთის ბოლშევიკებს? ,,ჩრეზვიჩაიკები'' ,,ძარცვის'' კვირეები გლეხთა მიერ კეტებით გარეკილი ,,სილარიბის კომიტეტის მოგონებანი'' დარღვეული რკინის გზა, გაყინული ვაგზრობა მრეწველობა სასოფლო მეურნეობა, მთელი ქვეყანა წითელ არმიაში მოქცეული და მთელი მსოფლიო რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებული, აი რუსული უპირატესობანი!.. რუსის მუშიკი კეტით ხელში მეამბოხის ენებით ან თებული სწვავს რა სამოქალაქო ცხოვრებაში საკუთარ სამშობლოს ამით ჰგონიათ რომ სოციალიზმს ამ ყარებს.

რა ირგუნეს იმ ერებმა რომლებმაც ბოლშევიზმს კარი გაუღეს ან უკეთ რომ ვსთქვათ გაბოლშევიკდენ.

ამიერ კავკასიის რესპუბლიკები დან აზერბეიჯანი და სომხეთი უკვე ბოლშევიკურად არიან მონათლული.

როგორია აზერბეიჯანის ბედი. ამ ქვეყნის ბედი სავსებით რუსეთის ხელშია, რუსეთი ვაჭრობს ბაქოს ნავთით, რუსეთმა გაძარცვა აზერბეიჯანი რუსეთმა სისხლის ზღვა დაიყენა განჯაში, რადგან იქ მუსლიმანებმა რამოდენიმეთ დამოუკიდებლობის შენარჩუნება ისურვეს აზერბეიჯანში სდგას ეკზეკუტორი წითელი არმია რომელიც სძარცვავს და გლეჯს ხალხს.

აზერბეიჯანის დამოუკიდებლობა წაშალა და აღარ არის, აზერბეიჯანი ყოფილ რუსის ჯანდარმების ხელშია თათრული ენა აკრძალულია და ყველგან ბატონობს რუსული, აი ის მოკეტანა აზერბეიჯანს, სოვეტიზაციამ.

ახლა გადავხედოთ სომხეთს, რა ამბავია იქ, ყური დაუგდეთ სომხურ გაზეთს ,,აშხატავორს'' რას ამბობს იგი: ,,წითელი არმიელი შევიდა კოველ გლეხის სახლში და ბატონად დაუჯდა მას, რუსის წითელ არმიელს თოფის მეტი არაფერი არ მოუტანია სომხეთში ხოლო იქიდან კი გაიქვს, რის გატანაც შეიძლება.

სომხეთი იძარცვება და ჩანაგდება სომხური ენა განდევნილია და მის მაგიერად შემოღებულია რუსული ენა, სომხებს ყველა დაწესებულებიდან ითხოვენ და აყენებენ რუსებს აი, სომხეთის ქრონიკა სომხურ გაზეთის გადმოცემით, ასეთია ბოლშევიზმის ,,მადლი''.

საქართველომ შეგნებულად უარყო რა იმ თავიდანვე და სამუდამოდ რუსული ბოლშევიზმი იგი მარცყოველ სცდილობდა რუსეთთან კეთილ მეზობლურ ურთიერთობის დამყარებას.

ფორმალურად ამას ჩვენ თითქოს კიდეც მივსწვდით წ. წ, მაისში რუსეთთან ხელშეკრულების დადებით.

მაგრამ არის კი ჩვენს შორის ფაქტიური ზავი?

არა და არა.

რუსის კომუნისტები აბამენ ჩვენს ქვეყანაში შეიარაღებულ აჯანყებათა ქსელს, კომუნისტები გვისისხიანებენ ჩვენ სომხებს და აზერბაიჯანელებს. მოსკოვის კომუნისტები თავის რადიოში ირსულ ქალებსაცით წივიან რომ საქართველოს სოციალ გამცემლები დედამიწის პირისგან უნდა აღიგვან და განა ასე მოექცევიან იმ ქვეყანას რომელთანაც ზავი და სამეგობრო ხელშეკრულება დაუდვიათ?..

მაგრამ რომელ ზავზე ვლაპარაკობთ ბოლშევიკებს არ სწამთ არავითარი ზავი და ხელშეკრულება, ისინი თუ სდებენ ამა თუ იმ ხელშეკრულებას ეს იმიტომ რომ მათთვის აუცილებელი ხდება იმ დროსა და გარემოებაში, საქართველოს დამოუკიდებლობის ,,დე იურე'' მათ იცნეს, მაგრამ ნამდვილად ასინი საქართველოს სახელმწიფოს მენენ, რომელიც ჩვენ ... ლე გამარჯვებაში რომელიც ... ვირგუნეთ საქართველოს დისკრ... შეაქვსი...

უკანასკნელ დროს რუსეთის ... ნებით აზერბაიჯანმა დააკავა ... მატარებლები და აღარ იძლევა ... ნაგთს, რომელიც ჰქსტაფის ... უნდა მოგცა.

ყველასათვის აშკარა ხდება ... რაიგ აგრესიულია მოსკოვის პო... ტიკა ჩვენთანდმი.

რუსეთი ეკონომიურ ,,გარე ... ვით'' სცდილობს საქართველოს ... ლებელ კიბის აღებას მაგრამ ამ ... თხვევაში მის ხელში საბლოკად ... მარტო ბაქოა.

ურთიერთობა გამწვავდა და ... ბისს უახლოვდება, კრიზისიდან ... თი თუ ისეთი გამოსავალი აუცი... ბელია და ამ ყოფაში დარჩენა ... ლად შეუძლებელია.

საქართველო არასოდეს ყო... ომის გუნებაზე და იგი ტრადი... ლად იცავს მშვიდობიანობას მე... რობას მეზობელთადმი, მაგრამ ... ჩვენი მისაზღვრენი განიზრახავენ ... ქართველოს უფლებათა შებღა... ლა საქართველოს ხალხის ქონ... გატეხებას მაშინ საქართველო ... ვითარ საშუალებათ არ დაერი... თავის ხალხის უფლებების დაც... თვის.

და ქართველი ერი შესძლებს ... ვის უკლებების ლირსეულად ... ვას.

საქართველოს და რუსეთის ... რეო პოლიტიკის მესაჭეებმა ყ... დონე უნდა იღონონ, რომ კრ... სი სასურველად დასრულდეს..

სანამ მდგომარეობა ასე გამო... კვეველია მანამდის ქართველი ... ყოველგვარ მოსალოდნელობის ... საპირდაპირებლად ყოველ მხ... განმზადილი უნა იყოს!.

ი. დიდიძე.

შენიშვნები.

ოსმალო სოციალისტები.

პარიზი. ოსმალეთის სოციალ... ტერ პარტიის წარმომადგენელმა ... ბურმა, რომელიც ტურის კონგრ... ზე იღებდა მონაწილეობას, მოა... სა ,,ჰუმანიტე''-ში წერილი, რომ... შიაც იგი იხილავს ოსმალეთის პ... ლეტარიატის მდგომარეობას. ... ბური აცხადებს, კომუნისტურ ... ტერნაციონალის მოპირდაპირებ... ბაში მომხდარ აღმოსავლეთის ხ... ხთა ყრილობაზე ენვერფაშას მ... მოწვილეობის მიღება გამოიწ... იმისთვის, რომ მუშათა მოძრაობ... ათვის მცირე აზიაში ნაციონალ... ტური ხასიათი მიეცათ. ოსმალ... მუშების სახელით უნდა განაცხა... რომ იმ მიმდინარეობას, რომელ... ქმალი მეთაურობს, არაფერი ... აქვს საერთო პროლეტარიატ... რომელიც არც ქმალსა და ... ენვერს არ მიეღება. თანახმად ს... ტისტიკურ ცნობებისა კონსტანტ... პოლში ამ ჟამად 1000.000 მ... იმყოფება; მუშებმა დაარსეს პ... ფესიონალური ორგანიზაციები ... ურთიერთ დახმარების კომიტეტ... ოსმალეთის სოციალისტურ პარტ... ინიციატივით კონსტანტინეპოლ... შრომის ცენტრალური კასსა დაარ...

დარაზმული მუშათა რიცხვი კ... სტანტინოპოლში 12. 000 ა... უდრის. ყველაზე უფრო მუშ... კლასი ქალაქ ესკი-შეხირში ... დარაზმული. იქ მუშაობს უძლიე... სი სოციალისტური ჯგუფი, რო...

ლიც იკრეფს თავის გარშემო მთელ ადგილობრივ პროლეტარიატს. აქვე იკვეთება ოსმალური გრიად ერთი სოციალისტური გაზეთი ,,მუშა''. კონსტანტინოპოლში დაარსდა პატარა კომუნისტური ჯგუფი, რომელიც შესამე ინტერნაციონალს ემხრობა. ეს ჯგუფი შესდგება რამოდენიმე ოსმალოსგან, უმთავრესად კი რუსებისა. რუმინიელებისა და ბოლგარებისაგან შესდგება.

ჰუნგრეთის საკითხი.

„ტანი'' სწერს: ჰუნგრული საკითხი არსებობს. საკითხი დამძიმებულია მრავალი შედეგებით და ბევრი ფიქრია მაზედ საჭირო და არა თვალების დახუჭვა. ივილად შესაძლებელია, რომ ამირბარი ხორტი, ჰუნგრეთის რჩეულეტი, იძულებული გახდება წავიდეს და მაშინ ჯერი ძოუვა იმ საკითხს, რომელიც ესოდენ ღელვებს ქვეყანას, დღიდან ბელა კუნის დაცემისა. ეს არის საკითხი— თუ ვინ იქნება ჰუნგრეთის მეფედ. ბოლოსა და ბოლოს, ჰუნგრეთი არის მონარქია უმონარქოდ და ასეთი გარემოების გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია.

ჩვენ ვიცით ორი ღირსეული კანდიდატი—ერთი იმპერატორ კარლოსი, რომელსაც მხარს უჭერენ ლეგიტიმისტები, მეორე, რომელსაც უფრო მეტი მოხრენი ჰყავს, არის ერცეჰერცოგი იოსებ. მაგრამ რესტავრაციის ჰაბსბურგების იქნება ,,კაზუს ბელლი'' ჩეხიისა და სამხრეთ სლავიანისათვის, რაც თავის მხრივ წარმოადგენს მცირე ანტანტას და რის მიზანიც არის დაუშვებლობა ამ რესტავრაციის. სამხრეთ სლავიასთან შეკავშირებულია იტალიაც და ეს კავშირიც მიმართულია ჰაბსბურგების რესტავრაციის წინააღმდეგ. ეი რისთვის არის საშიშარი ყოველი მღელვარება ჰუნგრეთში.

უკრაინა და ბოლონეთი.

ამოსავლეთ გალიციაში გალიციისა და ჩეხოსლოვაკიის საზღვრების გასწვრივაც უკრაინელ მცხოვრებთა და პოლონეთის სოკუპაციო ჯარებს შორის გამწვავებული პარტიზანული ბრძოლა სწარმოებს. პოლონეთის სარდლობამ აკრძალულთა წინააღმდეგ ჯარის ნაწილების გაგზავნას.

პარაკება სწარმოებს გერმანიასა და პოლონეთს მათ შორის აღებ-მიცემობის ჩამოგდების შესახებ. გერმანელები მზად არიან მისცენ პოლონეთს ორთქლმავლები, რონდები (ვაგონები), და ქიმიური ნაწარმოები, სამაგიეროდ პოლონეთმა უნდა დაუთმოს გერმანიას ომის დროს წართმეული ქონება.

განხეთქილება ბოლშევიკებს შორის

გელსინგფორსიდან იუწყებიან, რომ მოსკოვში, საბჭოთა კონგრესზე, თავი იჩინა დიდმა განხეთქილებამაც. რადეკისა და ბუხარინის მეთაურობით პარტიაში დიდი უთანხმოება და უკმაყოფილებაა, რადგანაც მთავრობას გადაუწყვეტია კონცესიები მისცეს უცხო ქვეყნის კაპიტალისტებს.

ამერიკის სოციალისტები.

ნიუიორკის შტატის საკანონმდებლო ყრილობამ ეს მესამეჯერ გამოატანა ამ წლის განმავლობაში დადგენილება ყრილობის შემადგენლობიდან სოციალისტების გაძევების შესახებ.

ზემო-სილეზია.

კორფანტიმ ზემო-სილეზიის მცხოვრებთა მიმართ გამოუშვა ახალი მოწოდება. რომელშიაც ურჩევს მათ დაიცვან წესიერება და არ აჰყვნენ მტრების პროვოკაციას, კორფანტი ამბობს: ,,ჩვენ, პოლონელებს არ გვაქვს საბუთი გამოვიჩინოთ ჰოეუამენლობა, ჩვენ ველოდით პრუსიის ძალა უფლებიდან განთავისუფლების საუკუნოების განმავლობაში. მოვითმინოთ ცოტა რამოდენიმე თვე, სანამ დადგებოდეს საათი ჩვენი განთავისუფლებისა.

ბალტიის ზღვის სახელმწიფოების

კონფერენცია.

რიგაში შესდგება ბალტიის ზღვის პირის სახელმწიფოთა მეორე კონფერენცია. კონფერენციაში მიიღებენ მონაწილეობას პოლონეთისა, ფინლიანდიისა, ლატვიისა, ლიტვისა, ესტონიისა (გამოტოვებულია) წარმომადგენლები.

მოლაპარაკებანი გერმანიასა და პოლონეთს შორის

ვარშავა. ამ ჟამად დიდი მოლაპარაკებაა მიმდინარე გერმანიასა და პოლონეთს შორის. ამ მოლაპარაკების ძირითადი საკითხია ის, თუ რა ნაწილი ერგება პოლონეთს ყოფილ გერმანიის ტერიტორიიდან. ეს საკითხი ჯერ-ჯერობით ჯერ კიდევ ღიად რჩება. ამ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია ანტანტის ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილებაზე. ამ კონფერენციის ერთ-ერთი წევრი ინგლისის ელჩი ლორდი დარბი ამ დღეებში ჩამოვა ვარშავაში. ელჩთა კონფერენციის ერთ-ერთი წევრი საფრანგეთის ელჩი ჟინო

საღვინე განსტრონომიული მაღაზია ერკვანიშვილი
დაწმენდილ დაცდილ ღვინომასალას
იაპაის რომი კონიაკი „IMPERIAL
დასხვასასმელები მადალი ღირსებისა
საკვაჭრო სახლი ძმ. სესიაშვილებისა და ამხ.
25

იყიდება

ამ დღეებში ქ ბათომში შეუდგებიან შრომის ბეგარის განხორციელებას.

ჩეხო სლოვაკიის წარმომადგენელმა გუშინ ჩვენს თანამშრომელს განუცხადა რომ ამ მოკლე დროში საქართველოსთვის ქ. პრაგიდან იგზავნება დიდძალი სხვა და სხვა საქონელი.

მილიციამ დააპატიმრა ვინმე გურშტეინი მცხოვრები სმეკალოვის ქ. № 3 რომელიც ეწეოდა სპეკულიაციას და დამოკიდებულება ჰქონდა ბოლშევიკებთან.

ბათომში ბონების დიდი სიმცირეა. სტერლინგის და ლირის ფასი არა ჩვეულებრივად დაეცა.

საქართველოს არა სოციალისტურ პარტიათა კონფერენცია.

იანვრის 23 თბ. ქალაქის თვითმართველობის დარბაზში გაიხსნა საქართველოს არასოციალისტურ პარტიათა წარმომადგენლების კონფეუენცია: ნაციონალ-დემოკრატების, ნაციონალისტების, რადიკალ-დემოკრატების და უპარტიოთა კავშირისა.

კონფერენცია გახსნა უხუცესმა დელეგატმა ვასილ წერეთელმა. კონფერენციის პრეზიდიუმში აირჩიეს სპირიდონ კედია, გრ. ვეშაპელი, კ. აბხაზი, ალ. ასათიანი და ს. შანშიაშვილი.

კონფერენციამ ერთხმად დაადგინა: ხსენებული პარტიები გაერთიანდნენ. ამის შემდეგ ყრილობამ მოისმინა მისასალმებელი სიტყვები-

ოსმალეთი და სომხეთი.

ყარა-ბექირის ლაშქარი დაპყრობილ სომხეთში ნაკლებად კომუნისტობს.

ოსმალებზე ვერ გასჭრა სომხეთის რევკომის გაბედულმა კილომ.

ერევნის კომუნისტებს ოსკოვის იქედით სწადდათ სომხეთიდან ოსმალოს ჯარის გაყვანა და დაშნაკთა საზავო ხელშეკრულების გაუქმებით ოსმალეთთან ახალი საზავო ხელშეკრულების დადება.

პირველ ხანებში შთაბეჭდილება იყო, როგ თითქოს რუსეთი ყოველმხრივ უწყობდა ხელს სომხეთის ამ წადილის მიღწევაში, ერთხელ რუსეთმა წინადადებაც კი მისცა ყარა-ბექირს გუმბრი და ყარსი დაეცალა მაგრამ აქამომდე ოსმალეთს ამის შესრულებაზე არ უფიქრნია.

მოლშევიკების ინფორმაციით სომხეთში ოსმალნი თავს ისე გრძნობენ, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში.

გუმბრის რევკომს შიშით ხმა ვერ ამოუღია, ოსმალნი აპატიმრებენ და სიკვდილით სჯიან კომუნისტებს ოსმალნი სძარცვაენ სომხეთს.

რომის სენატორებსავით გაძახიან წითელი დიპლომატები.

ოსმალეთის პოლიტიკა სომხეთში მეტად საყურადღებოა, აქ ირკვევა ის რომ ოსმალეთს არ სურს რუსული საქმის გამკეთებლად გამოვიდეს და სომხეთი დასცალოს რუსეთის საბატონოდ.

ოსმალთა და რუსთა ინტერესების დაპირდაპირება ალბათ მოსკოვში მოხდება, სადაც თებერვლის დღეებში ოსმალ-რუსთა კონფერენცია უნდა გაიხსნას

მოსკოვში პირის-პირ წარუდგებიან ურთიერთს ახალ ფორმაციის მეგობრები და იქ გამოჩნდება თუ რამდენად შესძლებენ ისინი კავშირის გაგრძელებას.

სომხეთს ამ ჟამად თავისი პოლიტიკა არ აქვს მისი ჯარი რუსი სარდალთა ხელში გადადის რევკომმა სახელმწიფო ენათ რუსული ენა გამოაცხადა, რევკომში უმეტესობა რუსობაა ამ ქვეყანას თავისი ბურჟუაზიერი არ დარჩა ასე, რომ ახლა ლაპარაკიც კი მეტია იმის შესახებ რომ სომხეთი თავის ეროვნულ დამოუკიდებელ პოლიტიკის წარმოებას ვერ მოახერხებს.

სომხეთი ასეთ „ალორძინების“ შემდგომ თავისთავად ეთხოვება ოსმალეთთან მორიგების და ახალ საზავო ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას.

თვით ოსმალნი დღევანდელ სომხეთთან მოლაპარაკებას არ ისურვებენ და სომხეთის საკითხი თუ არსებობს ოსმალეთ რუსეთისთვის ის გამოირკვევა რუსეთში ამ ორ სახელმწიფოთა ეგოისტურ ინტერესების შეფარდებით და არა სომხეთის სურვილისამებრ.

რუსეთ-ოსმალეთის განწყობილებაში კრიზისი უკვე დაწყებულია და მისი გამძინვარება თუ ლიკვიდაცია მოსკოვზეა დამოკიდებული. სომხეთ-ოსმალეთ შორის რეალური ურთიერთობის ანგარიშის გამწვევი დამოკიდებულება ამ ჟამად არ არსებობს.

სომხეთი ამას ჰგრძნობს და აკი ამიტომ ხმას ვერ იღებს გუმბრის რევკომი.

ირ—დი.

დიდი თოვლი გათომში.

ეს მესამე დღეა ბათომში შეუჩერებლად თოვს. დამლამობით ქარბუქია ზღვის რაიონი მეტად ცუდ მდგომარეობაშია ზღვის ღელვაა და თოვლის ზვავმა კარანტინი ნაპირს ჰისწყვიტა, „კარანტინის“ ექიმმა მთავრობის გაანსაკუთრებულ რწმუნებულს სთხოვა მცსანგრეთა მოშველება ზვავის გასაწმენდათ. ვერ მუშაობს ტელეგრაფი და ვერც მავი ზღვის რადიო სადგური.

ქალაქის ქუჩები თოვლით არის დაფარული გუშინ ქალაქის გამგეობის განკარგულებით შეუდგენ ქუჩების და ტროტუარების განწმენდას.

დიდი თოვლი ყოფილა აგრეთვე რკინის გზაზე ლიხამდე, რის გამოც მატარებლები იგვიანებენ, ზღვაზე არა ჩვეულებრივი ღელვაა, ბევრი წვრილმანი ნავი დაკარგულა ოსმალეთის ნაპირებისაკენ.

დიდი თოვლი დაუდგეს აგრეთვე ართვინის გზაზე და საერთოდ ოლქში წელს მეტად მძიმე ზამთარია.

გუშინ ბათომში გამოიდარა.

სოფ. დიდი ჯიხაიში.

ამას წინად აქაურ გიმნაზიის ვაჟთა და ქალთა ინიციატივით წარმოდგენილ იქმნა „სტუმარ მასპინძლობა“, წარმოდგენას დიდ ძალი ხალხი დაესწრო და დიდი ნასიამოვნები დარჩა.

კარგი იქნება, რომ ასეთი წარმოდგენები ხშირად იმართებოდეს ხალხისთვის.

— ეს ერთი ხანია დაიწყეს აქ გზებისა და ბოგირების შეკეთება.

— ხალხი ჩვეულებრივად სჩივის რომ სოფლიდან ყველა ნასწავლი კაცი ქალაქში წავიდა

— ახალწელ ღამეს აქ დაიწვა სოფლის კომისარ თუთბერიძის სახლი.

— საკვირაო იანვრიდან ჯიხაიშამდე მეეტლები იღებენ 500 მან. 700 მანეთამდე.

— უბენზინობისა გამო ავტომობილი აღარ დადის.

საყურადღებოთ

ქალაქის თვითმართველობა ცდილობს ყოველი მოვლენას ანგარიში გაუწიოს. სწორედ ამ მიზნით გახსნამან საჯარო ვაჭრობის დარბაზი. მიუხედავათ იმისა, რომ ქალაქმა ამ საქმეზედ საკმაო ხარჯი გასწია, ის მაინც არ შეუშინდა ამას, რადგან მან იცოდა, რომ დღევანდელ სამძიმო პირობებში, როდესაც ყოველი მოქალაქე გაჭირვებულია და უნდაბლიეთ უხდება მას გამოიტანოს ბაზარზედ ოჯახის ნივთი, სპეკულიანტ კომისიონერებს ხელში უვარდებათ და საშინლად იყვლიფება. რომ კომისიონერებისაგან დაეხსნა მცხოვრებლები, ქალაქის თვითმართველობამ გახსნა შესაფერი დაწესებულება და ყოველი მოქალაქის ინტერესი მოითხოვს, თუ მას აქვს ზედმეტი რაიმე ნივთი უნდა უნებლიეთ უხდება ასეთის გაყიდვა, მან ის უნდა მიიტანოს ქალაქის საჯარო ვაჭრობის დარბაზში, მით უმეტეს დაინტერესებული უნდა ვიყოთ ყველა, რომ ნივთის პატრონი არავითარ პროცენტტეტს არ იხდის დარბაზის სასარგებლოთ, 5% გადახდება მხოლოდ მყიდველს.

ვ. ხ—ლი

მეშვიდის ცხოვრება.

ბეჭდვითი კავშირში.

ოთხშაბათს, 26 იანვარს, საღამოს 7 საათზე, შესდგა ბეჭდვითი კავშირის გამგეობის ხხდომა.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) კავშირის ხარჯთაღრიცხვის შედგენის შესახებ; 2) საწევრო გადასახადის შესახებ; 3) საერთო კრების მოწვევის შესახებ; 4) გაზეთების თანამშრომელთა კავშირში მიღების შესახებ; 5) ჩხაიძის საქმე, 6) სტამბების მეპატრონეთა და გამომცემლების მოწვევის შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ გამგეობამ დაადგინა მიენდოს ამხ. დ. ნაკაიძეს კავშირის ხარჯ-აღრიცხვის ანგარიშის შედგენა საერთო კრებაზე წარსადგენად და დასამტკიცებლად.

მეორე საკითხის შესახებ გამგეობამ დაავალა პრეზიდიუმს აცნობოს კავშირის წევრებს შემდეგი:

კავშირის პრეზიდიუმი აცნობებს ყველა წევრებს, რომ თანახმად გამგეობის დადგენილებისა, უნდა მოხდეს კავშირის წევრების ხელახალი რეგისტრაცია ნამდვილი წევრების რაოდენობის გამოსარკვევად და ახალი წიგნაკების დასარიგებლად.

რეგისტრაცია დაიწყება 28 იანვრიდან და გაგრძელდება 4 თებერვლამდე, რომელიც სწარმოებს ყოველ ღღე საღამოს 6-8 საათამდე და კვირას 10 საათიდან 1-ლ საათამდე. ამ დღეებში დანიშნულია გამგეობის წევრების მოვიგეობა რეგისტრაციის საწარმოებლად შემდეგნაირად: პაპრასკევს-ჯანელიძე, შაბათს-კლიაკინი კვირას-გეტმანსკი, ორშაბათს-ნაკაიძე, სამშაბათს-კლიაკინი, ოთხშაბათს და ხუთშაბათს-ნაკაიძე.

ყველა წევრები ვალდებულია ჰქონიონ თან კავშირის წიგნაკები და გამოცხადდენ რეგისტრაციისთვის აუცილებლად ვინც აღნიშნულ დროს განმავლობაში არ გამოცხადდება, ის ჩაითვლება თავისი ნებით კავშირიდან გაჰორიცხულად და კავშირები მიიღებს ყოველივე ზომებს, რომ ისინი მოხსნილ იქმნან ადგილიდან და მათ მაგიერ დააყენონ სამუშაოზე ნამდვილი კავშირი მიიღებს ყოველივე ზომებს, რომ ისინი მოხსნილ იქმნან ადგილიდან და მათ მაგიერ დააყენონ სამუშაოზე ნამდვილი კავშირის წევრები, რომელნიც პირნათლად ასრულებენ კავშირის წესდებას და ანგარიშს მოვალეობის ასრულების საჭიროებას, როგორც ამას მოითხოვს მუშათა ორგანიზაცია. აგრეთვე თავის ნებით გამორიცხულად ჩაითვლებიან ის წევრებიც, რომელნიც 30 იანვრამდის არ შემოიტანენ საწევრო გადასახადს გასული წლისას და კავშირი არას შემთხვევაში მათ ადგილზე არ დაუშვებს, რისთვისაც მიიღებს ყოველივე ზომებს თავის კადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად.

ყველა სტამბების რწმუნებულებს და ავტონომიურ კომისიებს ევალებათ აცნობოს გამგეობას ვინაობა იმ წევრებისა რომელნიც არ იხდიან საწევრო გადასახადს, რათა გამგეობამ მიიღოს სათანადო ზომები მ თ ადგილიდან მოხსნის შესახებ.

კავშირის გამგეობა მოუწოდებს პირნათლად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა კავშირის წინაშე და ამით გააძლიერონ ნაყოფიერება კავშირის წინაშე და ამით გააძლიერონ ნაყოფიერება კავშირის მუშაობისა თავისი ინტერესებ ს დასაცავად.

საერთო კრების მოწვევის დღე გადასდო გამგეობის მომავალი სხდომამდის, რომელზედაც დანიშ დღეს საერთო კრების მოწ შესახებ,

გაზეთების თანამშრომელთა შირში მიღების შესახებ გამგ გადასწყვიტა: ბეჭდვითი კავშ დაარსდეს ჟურნალისტთა ს და მათ მიეცეს უფლება იყოს კავშირში ერთი წარმოიადგენ

ჩხაიძის საქმის შესახებ, რომ მუშაობს მახარაძის სტამბაში, მოირკვა, რომ ხსენებული არ ასრულებს პირნათლად მოვალეობას. ის გვერდს მუშაობას და აგრედვე გამოდი პარატიულად, რაც დაუშვებ კავშირისათვის, ის არ ასრ მოვალეობას აგრეთვე კავშირის ნაშეც, არ იხდის საწევრო და არ ემორჩილება არავითარ დებას და დადგენილებას, აგრეთვე სპეკულიაციას, ხშირ ცხდება სამუშაოზე და ამის გამგეობამ გადასწყვიტა წინად მიეცეს სტამბის მეპატრონეს, ჩხაიძე დაითხოვოს ადგილიდან ველივე ალიკვიდაციო ჯილ მიუცემიათ და გამგეობა დმდგენილებით რიცხავს მას კ რის წეგრობიდან.

დიდი სიძვირის გამო, გამგ დაადგინა მოიწვიოს ხაზეინები თანაბრად ზომების გამოსან სტამბის მუშებისათვის კოოპერ ვის გახსნის შესახებ, რომ მუ საშუალება მიეცეთ, პირველი როების სანაცვლოდ იაფ ფას მიღებისა ბაზრის ფასებთან შ რებით.

რედაქტორი ქ. ქავთარაძ

დაკარგა
პასპორტი ეფრემ სიმონის-ძე ელიანცმა, მიღებული ბათომის ლიციისაგან 1920 წ. № 370 ჩაითვალოს გაუქმებულათ.

დაკარგა
პასპორტი ანდრია ივანესძე ტარაშვილი სახელზე აღებული კონსულოსაგან ბათომში. ჩაითვა გმუქმებულათ.

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ
ყოველდღიური გაზ.
„ბათომის ცხოვრებაზე“
თვიური ფასი ქალაქში 800 მან. ქალაქ გარეთ 1200 მან. მუშა მრსამსახურეთათვის და მასწავლებელთათვის ფას დაკლებით.
ხელ მოწერა მიიღება მარინეს ვროსვეკტზე საბაშვილის სახლში.

ელექტრო მბეჭდავი სტამბა ხ. ვ. შმაევსკისა. მიხაილოვის, ქ. №21 ბათუმი.